

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტი



დამტკიცებულია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 1
“7” “თებერვალი” 2011 წელი

რექტორი:

ლ. ქელბაქიანი

ს ა ბ ა კ ა ლ ა ვ რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

ბიზნესის ადმინისტრირება

ქუთაისი 2010

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ბიზნესის ადმინისტრირება

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:

პირველი - ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:

აკადემიური

სწავლების ენა:

ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #3 ბრძანებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედებს თანამედროვე საკრედიტო სისტემა, რომელიც ეფუძნება ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებას.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული სისტემა (ECTS):

1 კრედიტი = 25 ასტრონომიული სთ.

ქუ-ში ყველა საგანი 5 კრედიტიანია

პროგრამის სტრუქტურა

ჩვენ ჩავატარებთ შრომის ბაზრის კვლევას, რომლის შედეგებზე მოგვცა საშუალება შეგვექმნა ბაზრის მოთხოვნებთან მაქსიმალურად ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის მოქნილი დიზაინი საშუალებას აძლევს სტუდენტებს შექმნან საკუთარი, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა თავიანთი სურვილებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით და ძირითადი კვალიფიკაციის პარალელურად მიიღონ ცოდნა დამატებით სპეციალობაშიც, რაც ერთობ გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე და წარმატებული კარიერის ფორმირების საფუძველი გახდება. ამ მიზნით უნივერსიტეტი სტუდენტებს თავაზობს ოთხ Minor (დამატებით) პროგრამას:

- ეკონომიკა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები;

- უცხო ენა;
- გამოყენებითი მათემატიკა.

საბაკალავრო პროგრამის მთლიანი მოცულობა -240 კრედიტი, მათ შორის:

- პროგრამის ზოგადი ნაწილი (*საუნივერსიტეტო საგნების მოდული*) - **60 კრედიტი**;
- Major პროგრამა - **120 კრედიტი**
- Minor პროგრამა - **60 კრედიტი**

პროგრამის სავალდებულო კომპონენტს შეადგენს სასწავლო პრაქტიკა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს პრესტიჟულ პროფილურ დაწესებულებებში, მაღალკვალიფიციური კადრების ზედამხედველობით გამოიმუშაონ პროფესიული მუშაობის ჩვევები.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სფეროს აღწერა:

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კვალდაკვალ ორგანიზაციათა ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესისათვის პროფესიონალი კადრების მომზადება.

ბიზნეს-განათლების პროგრამების ამოცანას წარმოადგენს იმ ადამიანების პროფესიონალური განათლება და მომზადება, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქმნიან, ხელს უწყობენ და მართავენ ორგანიზაციებსა და მიზნად ისახავენ ეფექტიანობის და/ან მოგების მიღებას, მათთვის მისაღები შემოსავლიანობის, ვადიანობისა და რისკიანობის პირობებში.

წარმოდგენილი პროგრამის ამოცანაა სწავლებისა და სწავლის პროცესის ისეთი ორგანიზება, რომელიც გაითვალისწინებს და დაეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სტუდენტების მისწრაფებებსა და სურვილებს და ორიენტირებული იქნება Major პროგრამის (მ.შ. არჩეული სპეციალობის საგანთა ბლოკების) და Minor პროგრამის შესაბამის შედეგებზე.

პროგრამის მიზანია:

- განავითაროს სტუდენტის შესაძლებლობები იფიქროს, წეროს და ისაუბროს ეფექტურად და კრეატიულად;
- განუვითაროს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა, რომლებზეც არის დაფუძნებული საზოგადოების ურთიერთობა ინდივიდებთან და პირიქით;
- განუვითაროს სტუდენტს როგორც ანალიტიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების და კომუნიკაციის უნარები, ასევე საკუთარი თავის ნდობა, პასუხისმგებლობა და თვითგანათლების უნარი;
- შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის;
- მოამზადოს ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესების კრიტიკულ გააზრებას და რომელსაც საფუძვლიანად ექნება შესწავლილი ბიზნეს საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ექნება პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები;

მაღალკვალიფიციური, ეთიკური და სტრატეგიულად მოაზროვნე მენეჯერების მომზადებით ჩვენ ვცდილობთ ხელი შევეწყოთ საქართველოში ცივილიზებული, კონკურენტუნარიანი ბიზნესის ჩამოყალიბებას, ე.ი. ქვეყნის ძლიერების და განვითარების საფუძვლის შექმნას.

სწავლის შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

Major პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

დარგობრივი კომპეტენციები

ცოდნა და გაცნობიერება

- ფლობს ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლებს. გააჩნია ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მათი მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა;
- გააჩნია ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტის, პროექტების მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა და აცნობიერებს მათ ურთიერთზემოქმედებას;
- იცნობს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ, საბანკო-საკრედიტო და სადაზღვევო კატეგორიებს, რითაც შეიქმნის მყარ საფუძველს მომავალი თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის;
- ფლობს სათანადო ტერმინოლოგიასა და ბიზნესის სფეროში მუშაობის რაოდენობრივ და სტატისტიკურ მეთოდებს;
- გააჩნია ცოდნა ორგანიზაციების ნაციონალური და გლობალური ეკონომიკური გარემოს შესახებ

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს გამომუშავებული ექნება:

- ორგანიზაციაში პროცესების მართვის ძირითადი უნარები: პროცესების იდენტიფიცირება. ეფექტიანობის გაზომვა, ბიზნეს-პროცესის მონაწილეების განსაზღვრა და სხვა;
- ძირითადი მარკეტინგული უნარები: მარკეტინგული მონაცემების მოგროვება, ანალიზი, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება და სხვა;
- ძირითადი ფინანსური უნარები: ანგარიშების მომზადება და წარდგენა, ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშების მომზადება, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტის მომზადება და სხვა;
- პროექტების მართვის უნარი: მიზნის ფორმულირება; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა; დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა; პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების მართვა; შესაბამისი რესურსების განსაზღვრა და მართვა და სხვა;
- ორგანიზაციის ან ფუნქციონალური სფეროს წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირებისა და დიაგნოსტიკის უნარი. პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების გამოყენების, მათი დასაბუთებისა და დაცვის უნარი;
- ოპერაციულ და ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარი. გადაწყვეტილების მიღების მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირების უნარი;

სტუდენტები შეძლებენ:

- **შეისწავლონ** ორგანიზაციის ფუნქციები და მასზე მოქმედი ძირითადი კომპონენტების ზეგავლენის ეფექტები და **გაიგონ** თუ როგორ არიან ისინი ურთიერთდამოკიდებული და როგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე;
- **გააცნობიერონ** და **ჩაწვდნენ** მენეჯმენტის გლობალურ როლსა და მიზნებს ორგანიზაციაში; **გაერკვნენ** და მიიღონ უშუალო მონაწილეობა საფინანსო-საბანკო-სადაზღვევო ურთიერთობებში და ა.შ.

- **აღწერონ** ბიზნეს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, თავისებურებები და პერსპექტივები; ურთიერთობა რისკსა და პოტენციურ მოგებას შორის უცხოურ ბაზრებზე შესვლის დროს;
- **დასახონ** გზები ფირმის მიერ არასასურველი მოვლენების შედეგების განეიტრალებისათვის, კონფლიქტების აღკვეთისათვის; **მონაწილეობა მიიღონ** ბიზნეს გეგმის ფინანსური ნაწილის შედგენასა და მის რეალიზაციაში;
- **გაანალიზონ** ბიზნესორგანიზაციის საქმიანობა, მოტივირების თეორიები; ფინანსური გეგმები, ბიუჯეტი, ბუღალტრული ბალანსი, ბანკის ბალანსი და ა.შ;
- **იმსჯელონ** ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების სპეციფიკის, მათთვის დამახასიათებელი გამოვლენის ფორმების, ძირითადი ტენდენციების და სამომავლო პერსპექტივების შესახებ, ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;

ზოგადი უნარები

დასკვნის უნარი

შეუძლია ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეუძლია ახალი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, გააჩნია თვითანალიზის უნარი. შეუძლია მონაცემების ინტერპრეტაცია, კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და დიაგნოსტიკა, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიღების პრიციპების დასაბუთება და დაცვა.

კომუნიკაციის უნარი

მშობლიურ ენაზე

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია რეფერატული სახის შრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

უცხო ენაზე

შეუძლია ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია,

კომუნიკაცია - შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია საქმიანი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები.

კითხვა – შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; შესაძლოა უჭირდეს იშვიათად გამოყენებადი იდიომების გაგება.

წერა – შეუძლია წერილობით ინგლისურ ენაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან,

პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენების უნარი.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა, დამოუკიდებლად მუშაობს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.

ღირებულებები

მონაწილეობს ბიზნესის სფეროსა და საზოგადოდ ეთიკური ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად: პატივს სცემს მრავალფეროვნებას, შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებაში და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა, მონაწილეობს ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ახდენს ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირებას, ეფექტურად ურთიერთობს სამუშაო/სასწავლო ჯგუფში, გამომუშავებული აქვს იმ ეთიკური პრობლემების ამოცნობის, გააანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების შერჩევისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს საფინანსო ინსტიტუტებში, საბუღალტრო აღრიცხვაში, ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და მარკეტინგში. აცნობიერებს სამართლებრივ, ეთიკურ და კროსკულტურულ პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში და საზოგადოებაში, გააჩნია პროფესიული პასუხისმგებლობა და აცნობიერებს ეთიკის, მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს.

Minor პროგრამები

1. ეკონომიკა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დისციპლინებში „ეკონომიკის 1 (ეკონომიკის პრინციპები)“ და „ეკონომიკის 2 (მაკრო და მიკრო ეკონომიკა)“ დადებითი შეფასება.

პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:

საზოგადოდ, ეკონომიკის შესწავლის საგანია იშვიათი რესურსების ეფექტიანი გამოყენების ძიება საქონლის და მომსახურების წარმოებაში, საზოგადოების მატერიალური მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით. აქედან გამომდინარე, პროგრამის და შესაბამისად, მისი შემადგენელი დისციპლინების ათვისების შედეგად, სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა უნდა შეექმნათ ეკონომიკაში არსებულ ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე, როგორცაა საბაზრო სისტემის ფუნქციონირების მექანიზმები, რესურსების განაწილების მექანიზმები, კერძო და სახელმწიფო სექტორები ეკონომიკაში, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციები და ა.შ.

„ეკონომიკის“ Minor პროგრამის ძირითადი მიზანი:

წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს განიხილოს საკითხები, რომლებიც შეეხება თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს. მხედველობაშია მისაღები, რომ პირველი ორი სემესტრის განმავლობაში პროგრამის ათვისების მსურველებს უკვე გავლილი აქვთ ეკონომიკის პრინციპები, რაც ქმნის ერთგვარ ბაზას დასახელებულ დისციპლინათა შესასწავლად.

სწავლების სტრატეგია მოიცავს, როგორც საბაზისო საკითხებისა და პრინციპების გადმოცემას სხვადასხვა ეკონომიკურ დისციპლინებში, ისე განვითარების თანამედროვე პირობებისა და მომავალი ტენდენციების განსაზღვრას. ეს ერთგვარ საფუძველს ქმნის სტუდენტის მიერ მომავალში სამაგისტრო პროგრამის სრულყოფილად ათვისებისათვის, რომელსაც უფრო ვიწრო და კონკრეტიზირებული მიმართულება ექნება. პროგრამით გათვალისწინებულ ეკონომიკურ

დისციპლინათა შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს ეკონომიკური ცოდნის გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით, სტუდენტებისათვის საბაზრო აზროვნების ახალ ეტაპზე გადასვლას და მოტივაციის ხელშეწყობას.

სწავლის შედეგი:

პროგრამის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში ბაკალავრს ექნება ეკონომიკურ მიმართულების ძირითად დისციპლინათა თეორიული ცოდნა, გაუღრმავდებათ ეკონომიკური ანალიზის უნარ-ჩვევები. ისინი შეძლებენ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ისტორიულ რაკურსში განხილვას, საქართველოს ეკონომიკის უფრო ღრმად შესწავლას, საჯარო ფინანსებისა და სექტორული ეკონომიკის ძირითადი პრობლემატიკის განზოგადებას, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების აღქმას, რესურსული პოტენციალისა და მისი რაციონალური გამოყენების მჭიდროდ დაკავშირებას ეკონომიკურ ზრდასთან, ეკონომიკურ პროცესთა გაზომვადობის და სიტუაციური მოდელირების ელემენტების სრულყოფას.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ:

- *გაერკვნენ* ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციფიკაში პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების მიხედვით;
- *შეისწავლონ* უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორიები, ისტორიულ რაკურსში განიხილონ მოვლენები და პროცესები, რითაც შეიქმნიან საფუძველს მომავალი თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის;
- *განაზოგადონ* მიკრო და მაკროეკონომიკის, საჯარო ფინანსების, დემოგრაფიის, სექტორული და რეგიონული ეკონომიკის ძირითადი პრობლემატიკა;
- *მოახდინონ* ეროვნულ ანგარიშთა სისტემის განზოგადებული ანალიზი;
- *აღიქვან* და სათანადოდ *შეაფასონ* მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები;
- *მოახდინონ* ეკონომიკურ პროცესთა და სიტუაციათა მარტივი მოდელირება და შესაბამისი დასკვნების წარმოდგენა;
- *შეიქმნან* სისტემური წარმოდგენა საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურებზე და განვითარების ტენდენციებზე.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1. ECTS-ის მიხედვით მინიმუმ C შეფასებაზე ჩაბარებული გამოცდები შემდეგ საგნებში:
 - კომპიუტერი თანამედროვე ოფისში
 - უმაღლესი მათემატიკა
2. სპეციალური ტესტირება (თუ ტესტირებაში ვერ გადალახავს 60%-იან ბარიერს კანდიდატურა არ განიხილება);

პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა უზრალოდ წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ინფორმაციის მოპოვება და მისი სწრაფად დამუშავება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. დღეს უკვე ფინანსური ოპერაციებიც კი, ხორციელდება სახლიდან გაუსვლელად თუმცა ასეთი ოპერაციის უსაფრთხოდ ჩატარება ავტომატურად გულისხმობს პროგრამული პროდუქტის შემქნელის მაღალ კვალიფიკაციას. ინფორმაციული

ტექნოლოგიების გამოყენებით, საქმიანობის ნებისმიერ სფეროში შესაძლებელია ხარისხობრივად უფრო მაღალ ეტაპზე ასვლა და დასმული ამოცანების უფრო ეფექტურად გადაჭრა.

„ინფორმატიკის“ Minor პროგრამის ძირითადი მიზანი:

სწორედ ამიტომ პროგრამა მიზნად ისახავს მიაწოდოს მომავალ სპეციალისტებს საფუძვლიანი ცოდნა კომპიუტერის არქიტექტურისა და მისი ფუნქციონირების შესახებ. გააცნოს მათ ლოკალური ქსელის გამართვისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საკითხები. შეასწავლოს თანამედროვე დაპროგრამების ენები, და გააცნოს დამოუკიდებელი პროგრამული ერთეულის შექმნასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მონაცემთა ბაზებთან მუშაობის თავისებურებებს და web გვერდების ფორმირების საკითხებს.

ძირითადი მიზნის მისაღწევად სასწავლო პროცესის წარმართვის დროს წყდება შემდეგი ამოცანები:

- კომპიუტერის საკვანძო დეტალების მუშაობის პრინციპებისა და მახასიათებლების გაცნობა, ლოკალური ქსელის გამართვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შექმნა და ოპერაციული სისტემების მუშაობის თავისებურებების გარკვევა.
- ალგორითმის არსისა და მისი შექმნის მეთოდებზე ცოდნის ჩამოყალიბება, ამოცანის სირთულის შეფასებისა და ნებისმიერი ამოხსნადი ამოცანისათვის შესაბამის ოპტიმალური ალგორითმის შედგენის გზების განხილვა;
- მონაცემთა სტრუქტურების ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა;
- დაპროგრამების ენის სპეციფიკაციის და მისი საშუალებით შექმნილი პროგრამული კოდის გამართვის სპეციფიური საკითხების შესწავლა.

პროგრამის მიზანია:

- შეუქმნას მომავალ სტუდენტს სრული წარმოდგენა მონაცემთა ბაზების სხვადასხვა სახეებზე, შეასწავლოს თანამედროვე რელაციური მოდელის თეორიული საფუძვლები;
- ჩამოყალიბოს სტუდენტებს მონაცემთა ბაზის პროექტირების, მთლიანობისა და მანიპულირების ენის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევები.
- თანამედროვე ობიექტებზე ორიენტირებადი დაპროგრამების (ოობ) ძირითადი მეთოდებისა და წესების გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; ოობ-ის ძირითადი საყრდენი სამეულის ინკაფსულაცია, პოლიმორფიზმისა და მემკვიდრეობითობის საკითხებში გარკვევა; ოობ-ის ძირითადი მმართველი ობიექტების თვისებების შესწავლა;
- კლასების არსში წვდომა და ახალი კლასების შექმნასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა;
- მონაცემთა ბაზასთან კავშირის მქონე აპლიკაციების შექმნის პრობლემატიკის განხილვა;
- გრაფიკული გამოსახულების დამუშავების ძირითადი პრინციპების შესწავლა თანამედროვე პროფესიონალური გრაფიკულ რედაქტორის Adobe Photoshop-ს საფუძველზე.
- ვებ გვერდისათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დიზაინის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა. გააცნოს სტუდენტებს ინტერაქტიური ინტერნეტ-გვერდების შექმნის ძირითადი ტექნოლოგიები და პროგრამული პაკეტები.
- ჩამოყალიბოს წარმოდგენა ჰიპერტექსტური დაკაბადონების ენის, ფორმატირების კასკადური სტილების, სკრიპტული ენებისა და პერსონალური სერვერული გვერდის შესახებ.
- გააცნოს სპეციალური ენის VBA (Visual Basic for Application) საფუძვლებს და მისი დახმარებით საოფისე პროგრამების უფრო სრულყოფილი გამოყენების გზებს.

- ჩამოყალიბოს სტუდენტს ახალი პროგრამული პროდუქტის შექმნაზე გუნდურად მუშაობის უნარები;
- დამოუკიდებლად ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლისა და კვლევის უნარი.

სწავლის შედეგი:

პროგრამის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს საფუძვლიან ცოდნას კომპიუტერული სისტემებისა ქსელების არქიტექტურის შესახებ. ჩამოყალიბდება დაზიანებულ ტექნიკასთან მუშაობისას სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები.

სტუდენტი მიიღებს საფუძვლიან ცოდნას ალგორითმირების თეორიის საფუძვლების შესახებ; ჩამოყალიბდებათ ამოცანის მოდულურად დაყოფისა და გამართული პროგრამული კოდის შექმნის უნარი სტრუქტურულ თუ ობიექტებზე ორიენტირებადი დაპროგრამების მეთოდებით; გაერკვევა მონაცემთა ბაზებისა და მათი მართვის სისტემების დაპროექტების საკითხებში; შეძლებს Web-გვერდის სრულფასოვან მომზადებას (როგორც დიზაინერული, ასევე პროგრამული კუთხით); დაეუფლება გუნდური მუშაობის პრინციპებს.

სწავლის შედეგად ჩამოყალიბებული/გამლიერებული კომპეტენციები და უნარები:

- სისტემაში, აპარატურულ და პროგრამულ დონეზე არსებული ხარვეზების აღმოჩენისა და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- ოფისისათვის ლოკალური ქსელის დაპროექტება, აგება და გამართვა
- მონაცემთა აბსტრაქტული სტრუქტურების გამოყენებით პრაქტიკული ამოცანების მოდელის აგება;
- მონაცემთა რელაციური მოდელის საფუძველზე სხვადასხვა სახის საგნობრივი არის ამოცანათა პროექტირება.
- სერვერული მონაცემთა ბაზის მართვა მოთხოვნათა სტრუქტურული ენის გამოყენებით.
- ვებ გვერდის სრულფასოვანი, მხატვრულ დამუშავება.
- სტატიკური და დინამიკური Web გვერდის შექმნა და სხვადასხვა ვიზუალური ეფექტების საშუალებით გაფორმება;
- ინსტრუმენტალური სისტემის VBA-ს საშუალებით ქვეპროგრამების (მაკროსების) შექმნა;
- პრობლემური საკითხის გაანალიზებისა და ამოხსნის ოპტიმალური ალგორითმის შერჩევის უნარი;
- პროექტის სწორად დაგეგმარება, მოდულურად დაყოფა და შესაბამისი ინსტრუმენტალური სისტემის საშუალებით ეტაპობრივი შესრულება.

3. უცხო ენა (ინგლისური)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

Minor პროგრამაზე დაშვების პირობაა, რომ სტუდენტს ჰქონდეს მინიმუმ „B“ შეფასება საგნებში: „უცხო ენა 1“, „უცხო ენა 2“,

პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:

როგორც ცნობილია, 21-ე საუკუნე კომუნიკაციის ეპოქაა. გლობალიზაციის პროცესმა კიდევ უფრო აუცილებელი გახადა უცხო ენაზე (განსაკუთრებით ინგლისურზე) ინფორმაციის მიღება-გადაცემის უნარის ქონა. ინტერნეტი ხომ თანამედროვე ადამიანის ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი გახდა, რომელმაც შეუზღუდავი გახადა ნებისმიერ კონტინენტზე ადამიანთა შორის ინფორმაციული კონტაქტი. იგი ინფორმაციის მოპოვების ერთერთ ძირითად წყაროდ იქცა.

ამასთან, დღევანდელ დღეს საერთაშორისო ბიზნესის ენად ხომ ინგლისური მოიაზრება. ამდენად, ნებისმიერი დარგის კარგი სპეციალისტი ინგლისურ ენასაც უნდა ფლობდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გაიზარდა ახალგაზრდათა სწრაფვა განათლება მიიღონ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში, დასაქმების სფეროშიც ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად ინგლისური ენის ცოდნა მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, ინგლისური ენის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში პრიორიტეტული გახდა.

მეორადი სპეციალობის დისციპლინათა ჩამონათვალში ინგლისური ენის შეტანა სავსებით ბუნებრივია. სტუდენტებს, რომლებიც მეორად სპეციალობად ინგლისურ ენას აირჩევენ, შესაძლებლობა მიეცემათ სრულყოფილად დაეუფლონ ინგლისურ ენას. სწავლება დაეფუძნება თანამედროვე კომუნიკაციურ მიდგომას - ენა შევასწავლოთ გამოყენების დონეზე. სტუდენტს გამოუმუშავდება ინგლისური ენის ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც მას საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს უცხოეთის სასწავლო, გაცვლით პროგრამებში (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში), სტაჟირება გაიაროს უცხოეთში, დაესწროს ტრენინგებს, მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში და ა.შ.

დღეს საერთაშორისო აკადემიურ პროგრამებში მონაწილეობის ერთ-ერთ ძირითად პირობას ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდების წარმატებით ჩაბარება წარმოადგენს. მათ შორის ყველაზე გავრცელებული უდავოდ TOEFL-ია, რომელიც მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტისკენ უხსნის გზას სტუდენტებს. ეს გამოცდა გათვლილია საკმაოდ მაღალი დონის ენობრივ კომპეტენციაზე (Upper-Intermediate Level). ამდენად, მაინორის პროგრამაში საათების საკმაოდ დიდი ოდენობა ეთმობა მას. კურსი ორიენტირებულია იმაზე, რომ მოახდინოს სტუდენტების ენობრივი ცოდნისა და უნარების გააქტიურება და მათი მორგება TOEFL-ის ფორმატზე.

„უცხო ენის“ Minor პროგრამის ძირითადი მიზანი:

პროგრამის მიზანია სტუდენტებს გაუღრმავოს ინგლისური ენის ყველა ასპექტის ეფექტურად გამოყენების უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბოს ენობრივი ავტომატიზმები წერითი და ზეპირი მეტყველების სფეროებში, დაეუფლოს ბიზნეს ინგლისურის, პრესის ტერმინოლოგიას, რომლის გამოყენებასაც ის შეძლებს ბანკში, ოფისში და სხვა ბიზნეს გარემოში; გაწვრთნას TOEFL -ის ტიპიურ აქტივობებში, რათა სტუდენტმა შეძლოს TOEFL, FCE, IELTS და სხვა გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

სწავლის შედეგი:

ბაკალავრიატის მაინორ პროგრამის კურსდამთავრებული:

- ფლობს ინგლისური ენის საწარმოთქმო უნარ-ჩვევებს, შეუძლია ზეპირი სახით როგორც მონოლოგური, ასევე დიალოგური ფორმით საკუთარი აზრების გადმოცემა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეცნიერო-პედაგოგიურ თემებზე შესაბამისი სტილისტური და ემოციონალურ-მოდალური საშუალებების გამოყენებით;
- გააჩნია ინგლისურ ენაზე დაწერილი მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურის, მათ შორის საგაზეთო სტატიების წაკითხვისა და გაგების უნარი, ქართულენოვანი საგაზეთო სტატიების ინგლისურ ენაზე რეზიუმირებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;
- შეუძლია წერილობითი სახით გადმოსცეს საკუთარი აზრები სხვადასხვა თემატიკის ირგვლივ ლექსიკური და გრამატიკული ნორმატივების დაცვით (სხვადასხვა სახის წერილები, მოკლე სტატიები, თხზულებები, ესეები და სხვა);
- შეუძლია ინგლისურენოვანი ქვეყნების მკვიდრთა მეტყველების გაგება და სხვადასხვა სოციალურ გარემოში კომუნიკაციის თავისუფალი წარმოება სამეტყველო ინტენციების სხვადასხვა ფორმათა გამოყენებით (თხრობა, მსჯელობა, კამათი, დებატი);

- ფლობს ბიზნესის ტერმინოლოგიას და შეუძლია ბიზნესის კორესპონდენციის წარმოება და სპეციფიკური ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის თარგმნა;
- შესწევს უნარი დაამყაროს კავშირი და ითანამშრომლოს შესაბამის დარგობრივ სტრუქტურებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

4. გამოყენებითი მათემატიკა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

Minor პროგრამაზე დაშვების პირობაა საგნებში: უმაღლესი „მათემატიკა 1“, „უმაღლესი მათემატიკა 2“, „ეკონომიკის 1 (ეკონომიკის პრინციპები)“ და „ეკონომიკის 2 (მაკრო და მიკრო ეკონომიკა)“ მინიმუმ „C“ შეფასების მიღება.

პროგრამის ზოგადი მიმოხილვა:

პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს როგორც ზოგადთეორიულ სასწავლო კურსებს ეკონომეტრიკა, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები და სხვა. ისე გამოყენებით თემებს, რომლებიც დაკავშირებულია მათემატიკური მოდელების გამოყენებასთან ეკონომიკური ხასიათის ამოცანების ამოხსნისათვის (ოპერაციული გამოკვლევა, კონკრეტული სიტუაციის ანალიზი, შიგა საფირმო სიტუაციების მოდელირება, ინფლაციის მოდელირება, ფინანსური მაჩვენებლების ანალიზის მეთოდები, ფინანსური ბაზრების მოდელირება და სხვა).

სტუდენტები ეცნობიან მათემატიკურ მოდელებს და მათ გამოყენებას გადაწყვეტილებათა მიღებაში. ეცნობიან იმ მათემატიკურ ინსტრუმენტებს, რომელთა დახმარებითაც თანამედროვე პირობებში ხდება ეკონომიკური და მმართველობითი გადაწყვეტილებების ჩამოყალიბება და რეალიზაცია.

Minor პროგრამის ძირითადი მიზანია:

მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შესძლებენ ეკონომიკისა და ბიზნესის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში თანამედროვე მათემატიკური მეთოდებისა და ხერხების პრაქტიკულ გამოყენებას.

სწავლის შედეგი:

კომპანიის ანალიტიკოსის სამუშაო შემოქმედებითი და პერსპექტიულია. მას აინტერესებს არა მარტო ის რა იყო და რა არის ახლა, არამედ ის თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო. ანალიტიკოსმა უნდა შეძლოს ცალკეული მაჩვენებლებიდან, ციფრებიდან, სხვადასხვა ინფორმაციებიდან შექმნას მთლიანი რეალური სურათი, მიიღოს მონაწილეობა კომპანიის განვითარების სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრაში და დასახული მიზნების ოპტიმალური გზების გამონახვაში.

„გამოყენებითი მათემატიკის“ Minor პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს შეეძლება:

- კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების ფორმირების და/ან შეცვლის მათემატიკური მოდელის აგება;
- ეკონომიკის სხვადასხვა დარგში სტრატეგიების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამედროვე პროგრამების გამოყენება;
- პროექტებისა და რისკების მართვა მათემატიკური მეთოდების გამოყენებით;
- ლოგისტიკაში ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზირება;
- კომპანიის ღირებულებითი შეფასება და აქტივების მართვა.

დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაცია მთელს მსოფლიოში ყველაზე უნივერსალური და პერსპექტიულია კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. ბიზნესი - დიდი თუ მცირე, სახელმწიფო თუ კერძო, ყველა ქვეყნის ეკონომიკის ღერძია, ხოლო სწორი არჩევანი განათლების მიღებისას გზას გაუხსნის კურსდამთავრებულებს სტუდენტს წარმატებისკენ ამ სამყაროში. უსასრულოა ჩამონათვალი იმ სფეროებისა, რომლებშიც მათ შეუძლიათ წარმართონ საკუთარი საქმიანობა: ენერჯეტიკა, ჯანდაცვა, ფარმაცოლოგია, ტექნოლოგია, სარეკლამო საქმე, ფინანსები და სხვა მრავალი. ბიზნესის რომელი ასპექტიც არ უნდა აინტერესებდეთ, უთუოდ შეძლებენ იპოვონ სამუშაო, რომელიც მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენის საშუალებას მოსცემს. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი დაეხმარებათ დაიკავონ პოზიციები ნებისმიერი საწარმოს მართვის ქვედა და საშუალო დონეებზე საჯარო თუ კერძო სექტორებში; ბიზნეს და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში და ა.შ. მათ შორის: კომპანიის დირექტორატის ოფისებში, ოპერაციულ მენეჯმენტში, მარკეტინგსა და გაყიდვებში, კადრების მართვაში, ფინანსებში, ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, მართვის საინფორმაციო სისტემებსა და ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ სფეროებში.

სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ტრადიციული ლექციების კვალდაკვალ გამოყენებულ უნდა იქნეს პრაქტიკული მეცადინეობები, სამუშაო ჯგუფები, პროექტები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს შესაბამის ბიზნეს-კომპანიაში პრაქტიკის გავლით, კომპანიაში ვიზიტებით და ასევე პრაქტიკოსი მენეჯერების სასწავლო პროცესში მონაწილეობით.

სტუდენტის წარმატებების გაზომვის მიზნით შეფასების ისეთი კრიტერიუმების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნესკონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა წანამდღვრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემაჯამებელი. თითოეულს თავისი პროცენტული წილი აქვს. შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად, რომლებსაც, აგრეთვე, თავისი პროცენტული წილი აქვს ამ ელემენტის ფარგლებში.

ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა შესაბამისი პროცენტული წილის გათვალისწინებით.

შეფასების მინიმალურ დადებით ქულად ითვლება 51 ანუ სწავლის შედეგების საერთო მოცულობის 51 პროცენტი. შეფასების გაანგარიშების ალგორითმი განისაზღვრება დებულებით ზოგადი შეფასების შესახებ.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს გამოცდა. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

უნივერსიტეტში ტარდება ორი სახის გამოცდა:

- წერიტი,
- შერეული – ზეპირი და წერიტი ერთდროულად (ჯერ წერიტი და შემდეგ ზეპირი).

სტუდენტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
- სტუდენტი, რომელსაც საგანში გაცდენილი აქვს საათების 50% -ზე მეტი, არ დაიშვება საბოლოო გამოცდაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სხვა აქტივობების ჯამით უგროვდება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის საკმარისი ქულები.
- რეფერატის (ესსეს) დაწერა/წაკითხვა, ნაშრომის მომზადება/პრეზენტაცია და სხვა. ეს ნიშნავს, იმას, რომ, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული რეფერატი, ან კურსის ხელმძღვანელის მიერ მიცემული სხვა დავალება, ის არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, ვიდრე არ წარმოადგენს აღნიშნულ რეფერატს, იმ შემთხვევაშიც კი თუკი სხვა აქტივობების ჯამით უგროვდება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის საკმარისი ქულები.
- ქუ-ის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების დაურღვევლობა.

ფინალურ გამოცდაზე არ დაშვების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება 0 ქულა და მასზე ვრცელდება F შეფასებით განსაზღვრული მოთხოვნები.

მ) საპატიო მიზეზის არსებობის (მაგ.: ავადმყოფობა) შემთხვევაში, შუალედური/ფინალური გამოცდის აღდგენაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად, სტუდენტმა უნდა დაუსაბუთოს ქუს ფაკულტეტის დეკანს გაცდენის მიზეზი. გამოცდის აღდგენაზე საპატიო მიზეზის მქონე სტუდენტი დაიშვება ლექტორისა და ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.

- ქუ-ის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების დაურღვევლობა.

შეფასების სისტემა

შეფასება ხდება ქულათა სისტემით. ყოველი კომპონენტის (გარდა დასწრება-აქტივობებისა) მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დამამთავრებელ გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის დროს ნაჩვენები შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ნიშანი A (ფრიადი)
- მაქსიმალური შეფასების 81% და მეტი - ნიშანი B (მალიან კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 71% და მეტი - ნიშანი C (კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 61% და მეტი - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

• მაქსიმალური შეფასების 41-50% - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

• მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - ნიშანი F (ჩაიჭრა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის საბოლოო შეფასებაში დაფიქსირდება ნიშანი, რომელიც გამოითვლება შეფასების ცალკეულ კომპონენტში მიღებული ქულის შესაბამისი პროცენტული წილების ჯამით. კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი მოაგროვებს მინიმუმ 51 ქულას.

ქუში პროგრამა დასრულებულად ითვლება თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და წარმატებით დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი (პრეზენტაცია).

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად: აუცილებელი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შენობა-ნაგებობები აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი ინვენტარით,

ადამიანური რესურსები

საბაკალავრო პროგრამას ემსახურება 1 სრული პროფესორი, 19 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ-პროფესორი. მათ შორის:

ეკონომიკის Minor პროგრამა

1. ჩიხლაძე ნიკოლოზ - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი)
2. გაბელაშვილი კახაბერ - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი;
3. უფლისაშვილი გურამ - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი;
4. ბაბუნაშვილი ეკა - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი;
5. ბაკურაძე აკაკი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი;
6. ყიფიანი მავლინა - ქუ დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი;
7. იფშირაძე აზა - ქუ დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი;

ინფორმაციული ტექნოლოგიების Minor პროგრამა

1. შენგელია ოთარ - პროგრამის ხელმძღვანელი
2. შენგელია ინეზა - მასწავლებელი
3. ჭელიძე ქეთევან - მოწვეული სპეციალისტი
4. ჯინჯიხაძე მელქისედეკ - მოწვეული სპეციალისტი

უცხო ენის (ინგლისური) Minor პროგრამა

1. გვილაგა რუსუდან - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი)
2. ალავიძე მაია - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
3. ნიჟარაძე ნინო - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი

გამოყენებითი მათემატიკის Minor პროგრამა

1. კორძაძე თეა - ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი)
2. ბერაძე მაია - მათემატიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
3. მოდებაძე თემურ - მათემატიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
4. მნაცაკანიანი მირანდა - მათემატიკის აკადემიური დოქტორი
5. გოგოლაძე ნინო - ტექნიკის აკადემიური დოქტორი